საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის,

აკაკი ყაჭეიშვილის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის 20 ნოემბრიდან არჩეული ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. რეგლამენტიდან გამომდინარე ჩართული ვარ საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს სხდომების მუშაობაში. 2019 წელს კომისიის მიერ ჩატარებული იქნა 13 სხდომა. ვმონაწილეობდი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში, მოვამზადე დასკვნა და თანამომხსენებლად გამოვედი ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე.

ვანხორციელებ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით ჩემთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2019 წელში გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩემი ჩართულობით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტული პროექტები. აქტიურად ვთანამშრომლობ მერის წარმომადგენელთან ადმინისტრაციულ ერთეულში და მონაწილეობას ვიღებ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში, რომელიც სოფლის მოსახლეობის თხოვნით და ჩარტულობით ხორციელდება.

დასახმარებლად მომმართა და ჩემი უშუალო ჩართულობით ვუშუამდგომლე სოციალურ სამსახურთან და სოციალური დახმარების გაცემის წესიდან გამომდინარე დავეხმარეთ 67 პიროვნებას მედიკამენტების მისაღებად, 7 ონკოლოგიური დაავადების მქონე პიროვნებას, 5 ახალშობილის ოჯახს, 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ 4 პირს.

გაღებული იქნა სარიტუალო ხარჯი ერთ უპატრონო მიცვალებულზე.

სარეზერვო ფონდიდან ჩემი უშუალო ჩართულობით მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მქონე 10 პიროვნებას გაეწია დახმარება.

ხანძრის შედეგად განადგურებულ ერთ ოჯახს გავუწიე შუამდგომლობა, რომელზედაც გაიცა ფინანსური დახმარება.

წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის მიერ სურსათითა და ტანსაცმლით დაკმაყოფილდა 7 ოჯახი.

როგორც კომისიის თავმჯდომარე აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესებში. ყველა პროექტი რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებას და ან დამტკიცებას განიხილება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში, მზადდება რეკომენდაციები რომლებიც ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

აქტიურად ვარ ჩართული ზოგადად საკრებულოს მუშაობაში, ყველა იმ პროექტის განხილვაში რომელიც საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად.

აკაკი ყაჭეიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთავმჯდომარე

18.12.2019წ